

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ..... 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4-6

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	10

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

სარჩევი

1. შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“ და მისი საქმიანობა.....	11
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	11
3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	23
5. ძირითადი საშუალებები	25
5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება).....	26
7 გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი	26
8. მარაგები	27
9. სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	27
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია სამართლიანი ღირებულებით.	27
10. ფული და ფულის ექვივალენტები.....	28
11. საწესდებო კაპიტალი	28
12. სესხები	29
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
14. საიჯარო ვალდებულება	30
15. შემოსავალი	30
16. სხვა საოპერაციო შემოსავლები.....	31
17. სამორინეს ხარჯი	31
18. სარესტორნო ხარჯი	32
19. სხვა საოპერაციო ხარჯი	32
20. ძირითადი საშუალების რეალიზაცია წმინდა	32
21. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	33
22. ფინანსური რისკების მართვა.....	33
23. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	37
24. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	37
25. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	38
26. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები	39

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს მმართველობის ანგარიში "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, აუცილებელია იმგვარი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი ცდომილება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად;

-
- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისი.

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი
საქართველო, ბათუმი

- მმართველობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება აუდიტით შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისი.



ლევან კორქაშვილი
დირექტორი



შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი
საქართველო, ბათუმი



შპს ფი.ეს აუდიტი-მენეჯმენტი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს “ალიუდ იუნიტას ჯორჯია”-ს დამფუძნებლებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ალიუდ იუნიტას ჯორჯია”-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედეგადად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრისა, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელები ვართ შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-სგან როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (IESBA კოდექსი). გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ფასს შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური
- საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.

- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სამართლებრივი და საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისი მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ამავე კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენი განსჯის შესაბამისად განვახორციელეთ საჭირო პროცედურები, რომლებიც შევარჩიეთ, მათ შორის და არა მხოლოდ, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის



შპს ფი.ეს აუდიტ-მენეჯმენტი

მოთხოვნების შესაბამისად;

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორი

რომილ ბერიძე (SARAS-A-273513)

შპს ფი.ეს აუდიტ-მენეჯმენტი (SARAS-F-903412)

2025 წლის 12 ივნისი

მოთხოვნების შესაბამისად;

- 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

გარიგების პარტნიორი

რომილ ბერიძე (SARAS-A-273513)

შპს ფი.ეს აუდიტ-მენეჯმენტი (SARAS-F-903412)



2025 წლის 12 ივნისი



შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	მენიშვნა	31.12.2024	31.12.2023 გადაანგარიშებული	01.01.2023 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	22,443,778	24,037,843	27,644,052
არამატერიალური აქტივი		364,678	359,368	354,798
აქტივის გამოყენების უფლება	6	6,261,755	8,349,007	10,436,259
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		380,140	-	-
გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი	7	1,379,286	496,913	320,651
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,829,637	33,243,131	38,755,759
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	9	3,865,360	4,043,030	3,611,067
მარაგები	8	1,381,149	1,411,116	1,936,350
გაცემული მოკლევადიანი სესხი		20,000	300,140	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	2,646,344	1,984,773	3,536,896
სულ მიმდინარე აქტივები		7,912,853	7,739,058	9,084,313
სულ აქტივები		38,742,490	40,982,190	47,840,072
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
დაუფარავი ზარალი	11	(79,650,409)	(80,119,060)	(75,292,034)
სულ კაპიტალი		(79,650,409)	(80,119,060)	(75,292,034)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	12	100,169,592	102,353,883	105,484,140
საიჯარო ვალდებულება	14	6,566,634	9,119,022	11,692,261
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		106,736,226	111,472,905	117,176,401
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,434,675	2,703,600	1,967,893
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	2,761,165	2,518,716	2,583,565
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	12	3,368,160	3,227,280	-
საგადასახადო ვალდებულება		1,825,945	186,391	432,801
გადასახდელი ხელფასი		1,266,728	992,358	971,446
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,656,673	9,628,345	5,955,705
სულ ვალდებულებები		118,392,899	121,101,250	123,132,106
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,742,490	40,982,190	47,840,072

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მაზარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი
საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	მენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი			
სხვა საოპერაციო შემოსავლები	15	68,644,970	52,160,148
სამორინე ხარჯები	16	8,105,246	6,062,909
რესტორნის ხარჯი	17	(25,431,525)	(23,594,664)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	18	(2,705,742)	(2,349,244)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(18,497,075)	(17,134,955)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(606,837)	(498,390)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(6,893,316)	(499,737)
საექვო ვალების ხარჯი		(2,030,453)	(1,949,208)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(83,175)	
საიჯარო ხარჯი		(7,137,462)	(7,026,877)
ბანკის საკომისიო		(1,149,202)	(1,466,906)
პიგიენის ხარჯები		(1,657,625)	(1,126,080)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(615,948)	(816,523)
საოპერაციო მოგება	19	(1,364,495)	(1,501,520)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური			
ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების		(3,463,436)	(697,751)
გადაფასებიდან			
საპროცენტო ხარჯი		(4,582,049)	(4,814,830)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია წმინდა			
შემოსავალი/ხარჯი	20	(62,257)	448,283
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(967)	(21,681)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		468,651	(4,827,027)
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		468,651	(4,827,027)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023	(75,292,034)	(75,292,034)
ზარალი წლის განმავლობაში	(4,827,027)	(4,827,027)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	(80,119,061)	(80,119,061)
მოგება წლის განმავლობაში	468,651	468,651
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	(79,650,410)	(79,650,410)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე კორექტირება:	468,651	(4,827,027)
ცვეთა და ამორტიზაცია	7,137,462	7,026,877
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	3,463,436	697,751
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	62,257	(448,283)
საპროცენტო ხარჯი	4,582,049	4,814,830
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	15,713,855	7,264,148
მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები (ზრდა)/შემცირება	302,326	(336,769)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ზრდა/(შემცირება)	724,032	(274,393)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	29,967	525,234
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	16,770,179	7,178,220
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,711,616)	(2,719,977)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	182,379	-
სესხის გაცემა/დაბრუნება	(100,000)	(300,140)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,629,237)	(3,020,117)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან სესხის მიღება/დაფარვა	(9,071,167)	(2,540,137)
საიჯარო ვალდებულება	(3,311,444)	(3,070,971)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(12,382,610)	(5,611,108)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(96,763)	(99,118)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	661,569	(1,552,123)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,984,773	3,536,896
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,646,342	1,984,773

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	მენიშვნა	31.12.2024	31.12.2023 გადაანგარიშებული	01.01.2023 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	22,443,778	24,037,843	27,644,052
არამატერიალური აქტივი		364,678	359,368	354,798
აქტივის გამოყენების უფლება	6	6,261,755	8,349,007	10,436,259
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		380,140	-	-
გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი	7	1,379,286	496,913	320,651
სულ გრძელვადიანი აქტივები		30,829,637	33,243,131	38,755,759
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	9	3,865,360	4,043,030	3,611,067
მარაგები	8	1,381,149	1,411,116	1,936,350
გაცემული მოკლევადიანი სესხი		20,000	300,140	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	2,646,344	1,984,773	3,536,896
სულ მიმდინარე აქტივები		7,912,853	7,739,058	9,084,313
სულ აქტივები		38,742,490	40,982,190	47,840,072
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
დაუფარავი ზარალი	11	(79,650,409)	(80,119,060)	(75,292,034)
სულ კაპიტალი		(79,650,409)	(80,119,060)	(75,292,034)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	12	100,169,592	102,353,883	105,484,140
საიჯარო ვალდებულება	14	6,566,634	9,119,022	11,692,261
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		106,736,226	111,472,905	117,176,401
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,434,675	2,703,600	1,967,893
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	2,761,165	2,518,716	2,583,565
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	12	3,368,160	3,227,280	-
საგადასახადო ვალდებულება		1,825,945	186,391	432,801
გადასახდელი ხელფასი		1,266,728	992,358	971,446
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11,656,673	9,628,345	5,955,705
სულ ვალდებულებები		118,392,899	121,101,250	123,132,106
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,742,490	40,982,190	47,840,072

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი
საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი	15	68,644,970	52,160,148
სხვა საოპერაციო შემოსავლები	16	8,105,246	6,062,909
სამორინე ხარჯები	17	(25,431,525)	(23,594,664)
რესტორნის ხარჯი	18	(2,705,742)	(2,349,244)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		(18,497,075)	(17,134,955)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(606,837)	(498,390)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(6,893,316)	(499,737)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(2,030,453)	(1,949,208)
საეჭვო ვალების ხარჯი		(83,175)	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(7,137,462)	(7,026,877)
საიჯარო ხარჯი		(1,149,202)	(1,466,906)
ბანკის საკომისიო		(1,657,625)	(1,126,080)
ჰიგიენის ხარჯები		(615,948)	(816,523)
სხვა საოპერაციო ხარჯი	19	(1,364,495)	(1,501,520)
საოპერაციო მოგება		8,577,361	258,953
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(3,463,436)	(697,751)
საპროცენტო ხარჯი		(4,582,049)	(4,814,830)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია წმინდა შემოსავალი/ხარჯი	20	(62,257)	448,283
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(967)	(21,681)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		468,651	(4,827,027)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		468,651	(4,827,027)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023	(75,292,034)	(75,292,034)
ზარალი წლის განმავლობაში	(4,827,027)	(4,827,027)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	(80,119,061)	(80,119,061)
მოგება წლის განმავლობაში	468,651	468,651
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	(79,650,410)	(79,650,410)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	468,651	(4,827,027)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	7,137,462	7,026,877
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	3,463,436	697,751
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	62,257	(448,283)
საპროცენტო ხარჯი	4,582,049	4,814,830
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	15,713,855	7,264,148
მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები (ზრდა)/შემცირება	302,326	(336,769)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ზრდა/(შემცირება)	724,032	(274,393)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	29,967	525,234
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	16,770,179	7,178,220
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,711,616)	(2,719,977)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	182,379	-
სესხის გაცემა/დაბრუნება	(100,000)	(300,140)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,629,237)	(3,020,117)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება/დაფარვა	(9,071,167)	(2,540,137)
საიჯარო ვალდებულება	(3,311,444)	(3,070,971)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(12,382,610)	(5,611,108)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროსო სხვაობის ეფექტი	(96,763)	(99,118)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	661,569	(1,552,123)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,984,773	3,536,896
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	2,646,342	1,984,773

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 12 ივნისს

ლევან ქორქაშვილი
დირექტორი

შორენა მახარაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 12 ივნისი

საქართველო, ბათუმი

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“ და მისი საქმიანობა

შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 3 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელებია:

- პეტერსონა ლიმიტედ (HE319485 /კვიპროსი/) - 70% წილით;
- ილია ბულიჩევ K00329780 /კვიპროსი/ - 30% წილით;

თავად პეტერსონა ლიმიტედ-ის 100%-იანი წილის მფლობელია ქრისტოს დრაკაუ /კვიპროსი/ I.00032926, რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სამორინე და სათამაშო ბიზნესი.

საზოგადოების დამატებითი საქმიანობაა: სარესტორნო მომსახურება და ვალუტის გაცვლა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართი: ილია ჭავჭავაძის # 78/88, ბათუმი, საქართველო.

ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკის ქ. #1

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2024 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული) ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - როგორ გამოვიყენოთ ფასს 19:

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2024 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ აზარტული თამაშების სექტორის დაბეგვრის განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. თუკი აქამდე სექტორის მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-ს შეადგენდა, ის 15%-მდე გაიზარდა, მოთამაშის მიერ მოგებული თანხის გატანა კი 2%-იანი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად 5%-ით დაიბეგრა. ამ ცვლილებებმა რამოდენიმე სამორინის დახურვა გამოიწვია, თუმცა შპს ალიუ იუნიტას ჯორჯიას მენეჯმენტი აცხადებს, რომ აღნიშნული ცვლილება არ იქონიებს არსებითად მნიშვნელოვან გავლენას კომპანიაზე. რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფუნქციონირებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. პირვანდელი ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის და/ან განმარტების მიზნებისათვის რეალური ღირებულება ამგვარ საფუძველზე განისაზღვრება.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიას ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

უცხოური ვალუტები. თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება.

მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში. ეს არ ეხება საკურსო სხვაობას უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც სამომავლო წარმოებისათვის შექმნის პროცესში მყოფ აქტივებთანაა დაკავშირებული და ამ აქტივების ღირებულებაში შევიდა, როდესაც ისინი ჩაითვალა ამ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის კორექტირებად.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნოლოგიებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და აისახება საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

საწარმო ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა ამორტიზაცია არ ერიცხება. კომპანია ძირითად საშუალებებს ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კლასის სასარგებლო გამოყენების ვადებია:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10%
მანქანა-დანადგარები	10%
ოფისის აღჭურვილობა	10%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10%
ტექნიკური აღჭურვილობა	10%
სატრანსპორტო საშუალებები	10%
სამორინეს აღჭურვილობა	10%

არამატერიალური აქტივები. კომპანიას არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს შეძენილ კომპიუტერული და ბუღალტრული პროგრამების ლიცენზიებს, რომელთა ღირებულება აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით მთელი სასარგებლო ვადის განმავლობაში აქტივის გამოყენების ვადის დადგომის მომენტიდან. კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიის მიახლოებითი მოხმარების ვადაა 5 წელი, ბუღალტრული პროგრამისა კი - 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილი ავანსები ავანსები აღირიცხება ოპერაციის ღირებულებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ცალკეული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მოგების გადასახადის ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო

ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია. კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე კომპანიაში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები და გაყიდული საქონლის თვითღირებულება კომპანია მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველაწარმოებულ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოვეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია პერიოდულად, ან ყოველი ახლადმიღებული პარტიისათვის, მოცემული საწარმოსათვის დამახასიათებელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ასპექტები. ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისვის შეფასების მომენტში.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტრების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;

- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუკი კოტირებული ფასები ხელმისაწვდომია რეგულარულად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად გაშლილი ხელის მანძილზე განხორციელებად ტრანზაქციებს ბაზარზე.

შეფასების ტექნიკა, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია უახლეს ტრანზაქციებზე ან ინვესტიციების მონაწილეთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომლებისთვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს დაშვებები, რომლებიც არ არის მხარდაჭერილი დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით. განმარტებები ხდება ამ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ რომელიმე ასეთი დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივაზე შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის

პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ცალკეულად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რათა მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

ვადიანი საბანკო დეპოზიტები - ვადიანი საბანკო დეპოზიტები მოიცავს ბანკებში განთავსებულ ნაღდ ფულს სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით. ვადიანი საბანკო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალ ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტიდან მოსალოდნელი საკონტრაქტო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც ჯგუფი ელის, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებულ მნიშვნელობასთან დისკონტირებით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის ან კონტრაქტის პირობებისათვის მნიშვნელოვანი სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

კომპანია გაცემულ სესხებს აფასებს ინდივიდუალურად. კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, კონტრაგენტის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა და გადახდების

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება ითვლება გაცემული სესხების პოტენციურად გაუფასურების ინდიკატორად. ყველა შემთხვევაში, თუ საკონტრაქტო გადახდა 30 დღითაა ვადაგადაცილებული, ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად ითვლება.

ფინანსური აქტივი დეფოლტირებულად ითვლება, თუ საკონტრაქტო გადახდა 90 დღითაა დაგვიანებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივის დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი სიტუაცია, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს სრულად დარჩენილ საკონტრაქტო გადახდებს მის მიერ ფლობილი საკრედიტო გამამდიერებლების გამოყენების გარეშე.

ამოუღებელი აქტივები შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხიდან გამოიქვითება მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის ამოღების ყველა აუცილებელი პროცედურა და ზარალის ოდენობა დადგინდება. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ერიცხება წლის მოგების ან ზარალის გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიას ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ნასესხებ სახსრებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

კომპანია იყენებს ფასს 9-ში არსებულ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრულ სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდა საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების მიხედვით.

კომპანია 30 დღემდე ვადაგადაცილებული სავაჭრო მოთხოვნისთვის რეზერვი არ ქმნის, 30 დან 60 დღემდე ვადაგადაცილების მქონე სავაჭრო მოთხოვნისთვის კომპანია იღებს ვადაგადაცილებული ოდენობის 10 %-ს, 60 დან 120 დღემდე - 30 %-ს, ხოლო 120 დან 180 დღემდე -50 %-ს 180 დღეზე მეტი ოდენობის სავაჭრო მოთხოვნისთვის ვიღებთ ვადაგადაცილებული ოდენობის 100 %-ს.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც კომპანია მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც კომპანია ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს

შემოსავლის აღიარება. კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს შემდეგ კაზინოს თამაშებს: სამაგიდე თამაშები, სლოტ აპარატები ("ფსონების და თამაშების საქმიანობები") და ტოტალიზატორის თამაშები.

კომპანიის ფსონებისა და თამაშების საქმიანობები, კლასიფიცირდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით ფასს 9-ის ფარგლებში, რადგან შემოსავალი ტოტალიზატორის თამაშებიდან წარმოადგენს წმინდა მოგებებს, ფსონების ოდენობას გამოკლებული კლიენტების მოგებები და წარმოდგენილია პერიოდის განმავლობაში გაწეული მომხმარებლების წახალისებების და ბონუსების გამოკლებით. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული ამონაგები და ზარალი.

სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი შედგება მომხმარებლებზე რესტორნების საშუალებით საკვებისა და სასმელების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლისგან და აღირიცხება ფასს 15-ის ფარგლებში. შემოსავალი აღიარებულია საკვებისა და სასმელების მიწოდებისას. შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ის გადასცემს კონტროლს დროის გარკვეულ მომენტში - საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, და გარკვეული დროის განმავლობაში - მომსახურების გაწევის შემთხვევაში, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. საკვებისა და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დღე-ის გამოკლებით.

იჯარა - იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, კომპანია ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლად.

იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ეკვივალენტებიდან გამომდინარეობს.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია დავალდებულების დაფარვა.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია სამართლებრივად ვალდებული იქნება, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ტოლი საპენსიო შენატანები.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების გაკეთება, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს აღიარებულ თანხებზე. აგრეთვე ევალება ვარაუდებისა და დაშვებების გამოთქმა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები

ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

კრიტიკული განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ბიზნეს მოდელის შეფასება. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა დამოკიდებულია SPPI-სა და ბიზნეს მოდელის ტესტის შედეგებზე. კომპანია განსაზღვრავს ბიზნეს მოდელს იმ დონეზე, რომელიც ასახავს, თუ როგორ იმართება ფინანსური აქტივების ჯგუფები ერთად კონკრეტული ბიზნეს მიზნის მისაღწევად. ეს შეფასება მოიცავს მსჯელობას, რომელიც ასახავს ყველა შესაბამის მტკიცებულებას, მათ შორის, თუ როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და მათი შესრულება, რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების შესრულებაზე და როგორ იმართება ისინი და როგორ ანაზღაურდებიან აქტივების მენეჯერებს. კომპანია აკვირდება ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის მეშვეობით, რომლებიც გაუქმებულია მათ დაფარვამდე, რათა გაიგოს მათი გასხვისების მიზეზი და შეესაბამება თუ არა მიზეზები იმ ბიზნესის მიზანს, რომლისთვისაც იყო აქტივი. მონიტორინგი წარმოადგენს კომპანიის უწყვეტი შეფასების ნაწილს იმის თაობაზე, არის თუ არა ბიზნეს მოდელი, რომლისთვისაც ინახება დარჩენილი ფინანსური აქტივები, არის თუ არა მიზანშეწონილი და თუ არაა მიზანშეწონილი, მოხდა თუ არა ცვლილება ბიზნეს მოდელში და, შესაბამისად, პერსპექტიული ცვლილება ამ აქტივების კლასიფიკაციაში. წარდგენილ პერიოდებში მსგავსი ცვლილებები არ ყოფილა საჭირო.

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ განხილულია მომავალთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და საანგარიშო პერიოდში მოქმედი განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები, რომლებიც მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების გამოწვევის თვალსაზრისით.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტექნიკური აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სამორინეს აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2023	24,562,087	4,274,082	131,337	4,897,446	5,136,342	1,365,236	9,662,191	50,028,722
რეალიზაცია	-	-	-	(31,773)	-	-	(2,554,318)	(2,586,092)
შესყიდვა	212,931	74,935	-	143,484	32,399	-	2,256,229	2,719,978
ჩამოწერა	(27,265)	-	-	(20,917)	-	-	-	(48,181)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	24,747,754	4,349,018	131,337	4,988,239	5,168,741	1,365,236	9,364,102	50,114,426
რეალიზაცია	-	-	-	-	(115,265)	(174,396)	(279,011)	(568,672)
შესყიდვა	154,799	41,666	-	98,283	391,552	494,084	2,531,231	3,711,615
ჩამოწერა	-	-	(12,672)	-	(10,959)	-	-	(23,631)
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	24,902,552	4,390,684	118,665	5,086,523	5,434,069	1,684,924	11,616,322	53,233,738
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	(11,246,023)	(2,039,799)	(61,119)	(2,191,551)	(2,100,789)	(512,220)	(4,233,168)	(22,384,670)
დარიცხული ცვეთა	(2,484,493)	(433,281)	(13,134)	(516,049)	(464,676)	(136,524)	(916,758)	(4,964,915)
გასვლა	27,265	-	-	46,771	-	-	1,198,967	1,273,002
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	(13,703,252)	(2,473,080)	(74,253)	(2,660,829)	(2,565,465)	(648,744)	(3,950,960)	(26,076,583)
დარიცხული ცვეთა	(2,457,752)	(437,760)	(11,866)	(506,401)	(469,037)	(160,002)	(1,007,393)	(5,050,211)
გასვლა	-	-	7,075	-	15,172	88,349	226,237	336,833
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(16,161,004)	(2,910,840)	(79,044)	(3,167,230)	(3,019,330)	(720,396)	(4,732,116)	(30,789,961)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
01.01.2023	13,316,064	2,234,283	70,217	2,705,895	3,035,553	853,016	5,429,023	27,644,052
31.12.2023	11,044,501	1,875,938	57,084	2,327,410	2,603,276	716,492	5,413,142	24,037,843
31.12.2024	8,741,548	1,479,844	39,620	1,919,293	2,414,738	964,528	6,884,207	22,443,778

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები, უფლებრივად ნაკლული არ არის.

6. აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას სს „მეტრო ატლას ჯორჯია“-სთან 2018 წლის 01 იანვრიდან გაფორმებული აქვს ათწლიანი იჯარის ხელშეკრულება შენობა-ნაგებობაზე, სადაც ფუნქციონირებს კაზინო.

აქტივის გამოყენების უფლება გაანგარიშებულია ათწლიანი ფინანსური იჯარის დღევანდელი ღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
1 იანვრის მდგომარეობით	8,349,007	10,436,259	12,353,290
ცვეთა	(2,087,252)	(2,087,252)	(1,917,031)
31 დეკემბრის მდგომარეობით	6,261,755	8,349,007	10,436,259

7 გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი

გრძელვადიანი საგადასახადო აქტივის სახით კომპანიას აღრიცხული აქვს აქტივის შემენის დროს აკუმულირებული დამატებული ღირებულების გადასახადი. კომპანიას გააჩნია შერეული ოპერაციები, შესაბამისად დამატებული ღირებულის გადასახადის ჩათვლის უფლება არ აქვს, სანამ აქტივის რეალიზაციას არ მოახდენს.

კომპანიამ შეიძლება ნებისმიერ დროს მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და სამი წლის განმავლობაში ჩაითვალოს გადახდილი დღგ. გრძელვადიანი საგადასახადო აქტივი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1 379 286, 496 913 და 320 651 ლარს.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

8. მარაგები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია შემდეგი სახის მარაგები:

მარაგები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
საქონელი	100,485	232,965	47,848
ნედლეული და მასალები	156,284	230,889	268,939
საწვავი	4,008	4,008	-
საკვები პრდუქტი	934,195	747,860	1,412,476
ხელსაწყოები და ინვენტარი	68,071	68,071	68,071
პიგიენური საშუალებები	22,628	22,960	34,653
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	95,479	104,363	104,363
ჯამი	1,381,149	1,411,116	1,936,350

მარაგები აღრიცხულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

9. სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო მოთხოვნები და წინასწარ გაწეული ხარჯები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,553,137	1,347,279	573,077
საექვო ვალდების რეზერვი	(83,175)	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	298,068	516,418	1,203,806
წინასწარ გადახდილი მოსაკრებლები	2,097,331	2,179,332	1,834,184
ჯამი	3,865,360	4,043,029	3,611,067

წინასწარ გაწეული მოსაკრებელი მოიცავს თანხებს რომელსაც კომპანია ყოველკვარტლურად იხდის ბიუჯეტში კაზინოს ფუნქციონირებისთვის.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

10. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ექვი.	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,720,799	999,427	1,349,311
ნადდი ფული უცხოურ ვალუტაში	352,483	63,738	441,125
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	533,832	768,438	109,451
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	39,230	153,171	1,637,009
სულ	2,646,344	1,984,774	3,536,896

11. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელებია:

- პეფტერსონა ლიმიტედ (HE319485 /კვიპროსი/) - 70% წილით;
- ილია ბულიჩევ 75 1442259 /რუსეთის ფედერაცია/ - 30% წილით;

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალის დანახარჯების, დავალიანების და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. სესხები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გრძელვადიანი სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ILYA BULYCHEV	EUR	5%	13,834,975	22,758,986	26,483,544
ILYA BULYCHEV	USD	5%			2,154,918
PEFTERSONA LIMITED	USD	5%	86,334,617	79,594,898	76,845,678
სულ			100,169,592	102,353,883	105,484,140

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი:

დასახელება	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ILYA BULYCHEV	EUR	5%	3,368,160	3,227,280	-
			3,368,160	3,227,280	-

სესხის მოძრაობა :

	2024	2023
წინა წლის ნაშთი	105,581,163	105,484,140
სესხის აღება	-	-
სესხის ძირის დაფარვა	(9,071,166)	(2,301,038)
საპროცენტო ხარჯი	4,000,162	4,101,245
სესხის პროცენტის დაფარვა	-	(239,099)
სამემოსავლო		(12,584)
სესხის დაფარვა გაქვითვა		(1,979,116)
საკურსო სხვაობა	3,027,593	527,615
სულ	103,537,752	105,581,163

შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,162,895	2,431,820	1,696,113
მიღებული ავანსები	271,780	271,780	271,780
ჯამი	2,434,675	2,703,600	1,967,893

14. საიჯარო ვალდებულება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის იანვრის მდგომარეობით, საიჯარო ვალდებულება წარმოადგენს, კომპანიასა და სს „მეტრო ატლას ჯორჯია“-ს შორის 2018 წლის 01 იანვრიდან გაფორმებული ათწლიანი იჯარის ხელშეკრულების გაანგარიშებას ფასს 16-ის მიხედვით. დინსკონტირების პროცენტად განისაზღვრა 5%.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
01 იანვარი	11,637,737	14,275,826	15,476,890
დარიცხვა	1,001,505	432,883	1,694,165
გადახდა	(3,311,444)	(3,070,971)	(2,084,629)
გადაფასება			(810,600)
ჯამი	9,327,798	11,637,737	14,275,826

15. შემოსავალი

